№ 946 კვირა, 24 ოქტომბერი. 1886—1899 კვირა, 24 ოქტომბერი № 946

რედაქცია და კანტორა ტფილისი, სასახლის ქ., თავადაზნაურთა ქარვასლა. ...მწერალნი გაზეთის დასაკვეთ... პირადად მოლაპარაკება რედაქციაში დილის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—დან „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზია ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს. პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე. ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთი თვით 60 კაპ. ცალკე ნომერი 3 კაპიკი. ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“ Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ეღირება 2 მან.

კვირას, 24 ოქტომბერს,

პანაშვიდის შემდეგ დილის 11 საათზე მამადავითის ტაძრის გალავანში (მთაწმინდაზე)

აკურთხებენ ძეგლს

## დიმიტრი ყიფიანის

სასაფლაოზე

რასაც საყოველთაოდ აუწყებს მისი ოჯახობა.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობა აცხადებს, რომ დაცლილია

## კავკავის

სკოლის მესამე მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიმართოს გამგეობას. მასწავლებელს ჯამაგირი ექმნება 480 მანეთი მხოლოდ იმ პირობით, რომ უსათუოდ გალობა იცოდეს და დასის შედგენა შეეძლოს. (5—5)

!!მიაქციეთ ყურადღება!!

## ჩინეთის მაღაზია

დ. შ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი, სასახლის გვერდზე.

იმყოფება ჩაი პირველი მოკრეფისა 1898 წლისა მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიებით

ყოველ მყიდველს ჩვენის ჩაისას ღირებულება მანეთზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საქირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენთან იმას

საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნიშნობებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—86)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალებავადმყოფობას და სიფილისს შ. ძ. ზერაბი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ძოგანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი. საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვისი

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია

Лѣчебница С. В Топурія въ Кутаисѣ

# ახალი ამბავი

—

*** დიმიტრი ყიფიანის ძეგლის კურთხევა. დღეს კვირას დილის 11 საათზედ აკურთხებენ მთაწმინდაზე მამადავითის ტაძრის გალავანში დიმიტრი ყიფიანის ძეგლს, რომელიც აგებულია ქართლ-კახეთის თავად აზნაურობისაგან.

ამ დღისათვის თურმე ჩვენებური დაწესებულებანი და სხვა მრავალი პირები აპირებენ ძეგლის გვირგვინებით შემკობას. ძეგლის კურთხევაზე დიდძალი ხალხი აპირებს დასწრებას.

*** ფრიად სასიამოვნო მოვლენა: ამ ორის წლის წინად დაბა ხონში დაარსა კერძო საქალო პროგიმნაზია ბახტაძის ასულმა. ჩვენ ნამდვილი წყაროებიდან შევიტყეთ, რომ ეს პროგიმნაზია ჩინებულს ფეხზედ დაუყენებია ახალგაზრდა მოღვაწე ქალსა და ნაყოფიც კეთილი გამოუღია უკვე ამ სასწავლებელსა. ეს, სხვათა შორის, იქიდან სჩანს, რომ ერთს ცხრა წლის ქალს ქ—ძისას, რომელიც ხსენებულს პროგიმნაზიაში თითქმის უცოდინარი შესულა, წელიწადს ნახევარს ისე კარგად მომზადებულა, რომ წარსულს სექტემბერში ერთს საქალო ტფილისის გიმნაზიაში პირველ მოწაფედ დაუჭერია ეგზამენი პირველს კლასში, რის გამოც წერილობითი მადლობა გაუგზავნიათ ხონში ქალბატონის ბახტაძისათვის როგორც მოსწავლე ქალს, ისე იმის მშობლებსა.

*** ექსარხოსის წაბრძანება. გუშინ 23 ს ღვინობისთვეს საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე გაემგზავრა კახეთში, განსაკუთრებით დასასწრებად ათის წლის სოფლებიბის სასწავლებლის დღესასწაულობაზედ.

*** ქალაქის ტელეფონებზედ. ქალაქის ტელეფონები ახალის განკარგულებით უნდა მომატებული იყვეს რიცხვით მომავალს წელს. ქალაქს მოუნდება ამაში 1900 წ. 36,700 მანეთი.

*** ბათუმის განათებაზედ. ქ. ბათუმი ამ ცოტა ხანში უნდა ელექტრონით განათდეს. ამ საქმის წარმოება მინდობილი აქვს ინჟინერს კარფევს.

*** ალექსანდრე ეპისკოპოზის 50 წლის დღესასწაულის გამო. მათს მეუფებას, გურია-სამეგრელოს ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზს ალექსანდრეს 50 წლის სამღვდელო ასპარეზზე მოქმედების დღეს 50 ტელეგრამა მოსვლია. ტელეგრამებში გახლდათ, სხვათა შორის, კავკასიის მთავარ-სარდლის თავ. გოლიცინის, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანესი, ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოზის კირიონის, უწმინდესის სინოდის პროკურორის და ბევრიც სხვა და სხვა საპატიო პირების.

*** თავ. ანტონ ჭავჭავაძეს შემოუწირავს ქართული დრამატიული საზოგადოებისათვის ათი თუმნის სარგებლიანი ქაღალდი.

** 500 მ. შეწირვა. მათს მეუფებას, ყველა ქართველთაგან დიდათ პატივცემულს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზს ალექსანდრეს, ბათუმის ქართველთ ეკლესიის ასაშენებლათ 500 მ. შეუწირავს.

იმედია, რომ ეხლა მაინც მიაქცევენ ყურადღებას ბათუმის ქართველნი თავიანთ ეკლესიის აღშენების საქმეს და კეთებას დააწყებინებენ. ამის დროც-კი არის ჭეშმარიტად. ბათუმში მცხოვრებთა შორის ნახევარზე მეტი ქართველი სცხოვრებს და მათ თავიანთ ერთი ეკკლესიაც არა აქვსთ. ბათუმში ბერძნები, კათოლიკები, თათრები და სომხები ბევრათ მცირენი სცხოვრებენ ქართველებზე, მაგრამ ყველა მათ თავ-თავის ეკლესიები აქვსთ და ქართველებს-კი არც ერთი.

** ბათუმიდან გვწერენ: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლიდამ, წელს, ბათუმის კლასიკურს გიმნაზიაში 13 ყმაწვილი შესულა მოსწავლეთ, ერთი ამათში ქართველ მაჰმადიანი ყოფილა, აჭარის სოფ. ორცველი—მასაცკაძე.

** ქართული მახინჯი ანბანები. დრო იყო, როცა ქართულს ენაზე მახინჯი ანბანები იბეჭდებოდა, ჩვენდა საუბედუროდ ამ ანბანებს კაი გასავალიც ჰქონდა, მთელი ქართველობა ასეთ მახინჯ ანბანი ამარათ იყო დაშთენილი

განვლო დრომ, ქართულმა მწერლობამ სხვა სახე მიიღო, მის ასპარეზზე პედაგოგიური მწერლობაც დაარსდა, გამოიცა რამდენიმე ნაირი სასწავლებელი წიგნები და უკანასკნელ გამოიცა „დედა ენა“, „კოკორი“ და ბევრიც სხვა ასეთი წიგნები, რომლებიც ჩინებლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

წიგნები შედგენილია მცოდნეს სპეციალისტის პირისაგან და მასთანავე ისე იაფად, ისე ხელ-მისაწდომიც არის, რომ მის სყიდვა არც ერთს ქართველს მდაბიოს არ გაუძნელდება.

ასეთ დროს, ასეთ ლამაზ ფერათ წიგნების გვერდით, ზოგიერთ მახინჯ მჭლაბნავებთაგან იბეჭდება სხვა და სხვა ქართული ანბანის წიგნები და იგინი მთელს საქართველოში ვრცელდება უცბად. ამ ბოლოს დროს მე ვიმგზავრე დასავლეთ საქართველოში და იქ თითქმის ყველა წიგნის მაღაზიის დუქნებში ვნახე ასეთი მახინჯი ანბანის წიგნები.

სწორედ ასეთივე მახინჯ წიგნებთა კრებულს ეკუთვნის ბ. ა. ავაზოვისაგან ახლად დაბეჭდილი „ქართული ანბანი“, წიგნი შედგენილია უვიცათ, ულაზათოთ, შეიცავს 16 გვერდს და ფასად ღირს 10 კაპ. ეს ანბანი აგერ რამოდენიმე წელიწადია რაც გამოდის, იგი თითქმის ყოველ წელს იბეჭდება და მისი არსებობისა ჩვენ-კი არა ვიცითრა.

ასე გულ-გრილობა, ასე უყურადღებოდ დატოვება ამ მახინჯის წიგნების ჩვენგან სწორედ სამარცხვინო საქმეთ უნდა ჩაითვალოს დროა, რომ ასეთ მახინჯ პირებს აეკრძალოს მახინჯი ანბანების ბეჭდვა, სიზმრის ახსნის ვრცელება და ათასიც სხვა ამ გვარები.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ამ მახინჯი ანბანის მეოხებით ქართველი ბავშვი არამც თუ ადვილად შეისწავლის ქართულს ანბანს, არამედ მას თათრულს ანბანის მსგავს ძნელ შესასწავლად გაუხდება მღიდარი და მასთან მეტად მარტივი ქართული ანბანი.

## უკანასკნელი ქართული წარმოდგენისაგან

(ანასტასია აბაშიძის პირველი დებიუტი).

ღმერთო ჩემო! არ შემიძლიან კალმით აგიწეროთ ის, რაც მე დამემართა 21 ოქტომბერს. თეატრში დღესასწაულია, ყველას აღელვება ეტყობა, ამ დღეს პირველად უნდა გამოვიდეს სცენაზედ სულ ახალგაზდა ქალი, ანასტ. აბაშიძისა.. დიდის მოუთმენლობით მოელიან იმის გამოსვლას... მეც თქვენი უმორჩილესი მონა, ჩემს კანში არა ვარ. თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ ამ ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მიგრძვნია ის, რაც ვიგრძენი ამ სალამოს. მალ-მალ აღელვებით მეუბნება ბ. აბაშიძე:— „აბა კოლა შენ იცი როგორც უშველიო“ მეც ნუგეშს ვაძლევ, მაგრამ იმავე დროს, მეშინიან, ვთრთი, ვაი თუ ჩემის მიზეზით რამე გაფუჭდეს მეთქი.. სულ ტყუილი კი გამოდგა ჩვენი შიში... მე რომ ნება მქონიყო იმ სიტყვების მაგიერად ვასოშ რომ სთქვა, „დედა გიჟი, მამა გიჟი, შვილი აკვანში თავს იქნევდაო“, ვათქმევინებდი ჩვენებურ ანდაზას:

„აყვავდა ხილი, დაისხა თხილი, რაც დედ-მამა, ისიც შვილი“, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ ნება არა მქონდა ამ სიტყვების მიწოდებისა..

გათავდა პირველი მოქმედება, აიწია მეორე მოქმედების ფარდა, სული განაბა ყველამ, (განა ბუდკაში რომ ვზივარ ხალხის აღტაცება არ მესმის!?) გულმა ცემა დამიწყო, მაშინ, როდესაც გადავფურცლე უკანასკნელი ფურცელი ან. აბაშიძის გამოსვლისა.. თვალთ დამიბნელდა, აღარ მახსოვდა, რომ სცენაზედ არტისტები სდგანან, და მავიწყდა ჩემი მოვალეობა... გაიღო კარი და გამოცქრიალდა ტურფა ქალი სცენაზედ, ხალხი აღელდა, ტაშის ვაშა! ღმერთო ჩემო! ისე გამიტაცა ხალხის აღტაცებამ, რომ მეც დამავიწყდა, რომ სუფლიორი ვარ, ორი ტაში დავკარი და ვაშა დავძახე! უცბად გონზედ მოვედი, შემეშინდა, ვაი თუ დაავიწყდეს პირველი სიტყვები მეთქი, და შეუდექი ჩემს მოვალეობას.—ამოიღო ხმა, მაგრამ რა ხმა, ანგელოზისა. უცბათ განათლდა იქაურობა, სხივი მოჰფინა ყველას, და სიხარულის ცრემლი აფრქვევინა! სხვისი კი რა მოგახსენო და მე კი სიხარულისაგან ვიტირე; . იმისი ხმა მიმოხვრა, სიარული, და სუყველაფერი ღვთიური იყო... არა, არა ბატონებო, ჩემი სუსტი კალამი ვერ შესძლებს ღირსეულად შეამკოს, ღირსეული შვილი, ღირსეულის დედ-მამისა. ამას კი თამამად ვიტყვი და არც შემრცხვება, რომ ჩვენს სცენას ეხლა ნიადაგი გაუმაგრდა. თამამადვე შეუძლიანთ უთხრან ქართველ საზოგადოებას ქ. საფაროვისამ, და ბატ. აბაშიძემ:

„აჰა თეატრის დაარსებიდამ აქნობამდე გვიწევია ჩვენი ჯაფანი, უმადური სახელი არტისტისა ღირსეულად დაგვიმსახურნია, ჩვენი საკუთარი მხრებით ქართული სცენა გვიტარებია,—ამას არ გაკმარებთ და გაძლევთ ნიჭს, იმისთანა ნიჭს, რომელსაც შეუძლიან ქართული თეატრის ბედი წალმა მოატრიალოს!“. დიახ, თამამად შეგიძლიანთ სთქვათ. მეც იმის მეტი აღარა დამრჩენია-რა, რომ დავიძახო: ვაშა, ღირსეულ დედ-მამას! ვაშა ღირსეულს შვილს!

სუფლიორი კოლა

# თეატრის მატიანე

ახალი პიესა და ახალი მოთამაშენა.

ბ-ნო რედაქტორო!

უკანასკნელი ქართული წარმოდგენის სალამოს, როცა თქვენ მეორე მოქმედების შემდეგ თეატრში მობრძანებულიყავით და მეც შემთხვევით თეატრის ელელუარებში შეგხვდით, მაშინვე დამეკითხეთ: როგორ მიდის საქმე. და როცა აღტაცება შეამჩნიეთ წინადადება მომეცით „დასწერეო“. მეც სიამოვნებით აღგითქვით, მაგრამ სახლში რომ დავბრუნდი, აღტაცება ცოტა არ იყოს „განელდა“ და სინანულში ჩავარდი—ვიფიქრე ვაი თუ გამოუცდელობის გამო ვერ გავამართლო ჩემი დაპირება პირნათლად და ამით ბ. რედაქტორო, თქვენი სურვილიც ვერ დავაკმაყოფილო, და სხვა დაინტერესებული პირნიც, რომელთა რიცხვიც ამ სალამოს საკმაოდ ბევრი იყო, უმადურნი დარჩნენ-მეთქი ჩემი ეს ეჭვი მით უფრო საბუთიანი იყო, რომ ჩემს დღეში რეცენზია არ დამიწერია და ნუ გამრისხავთ, სხვის რეცენზიებსაც უხალისოდ ვკითხულობდი. ამიტომ ბ. რედაქტორო წინდევე ბოდიშს ვითხოვ თქვენთან და თქვენი გაზეთის მკითხველებთან თუ ეს ჩემი ვითომ-და რეცენზია ვერ დაგაკმაყოფილებთ.

ხუთშაბათს დღეს მოუთმენლად და შიშით ველოდი. ჩემი შიში ადვილი გასაგებიც არის: ამ დღეს პირველად იღებდა ქართულ წარმოდგენაში მონაწილეობას ჩვენი სცენის დამამშვენებელი არტისტების მ. საფაროვის და ვ. აბაშიძის ასული და ამ „დებიუტზე“ სხვასთან ერთად მეც დიდ იმედებს ვამყარებდი, რადგან დებიუტანტის ჩამომავლობა და ბუნებრივი ნიჭი საკმაო საბუთს წარმოადგენს მისთვის, რომ იგი შეიქნებოდა, როგორც მისი მშობლებიც, ქართული თეატრის დედა-ბოძად და შიშიც იქიდან წარმოსდგებოდა, რომ ვაი თუ მიუხედავად ჩამომავლობისა და ბუნებრივ ნიჭისა. დებიუტმა იმედი გაგვიცრუოს-მეთქი. მეორე შიში კიდევ წარმოსდგებოდა იქიდან, რომ ამ დღეს წარმოსადგენად მომზადებული ჯერ ახალგაზდა გამოუცდელი დრამატურგის თხზულება და როგორც ყოველთვის პიესის ავ-კარგზე დამოკიდებული იყო მწერლის მომავალი მოღვაწეობა.

რვა საათს ხუთი წამი აკლდა, რომ თეატრის კარი შევაღე; ხალხი ცოტა მეჩვენა: დავეკითხე დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრს და მან უიმედოთ მხრები აიწია; მართალი მოგახსენოთ მეწყინა ასეთი გულგრილობა საზოგადოებისა იმ დროს, როცა წარმოდგენა ამდენ ინტერესს წარმოადგენდა; ამავე დროს ხალხი მატულობდა და არ გასულა 20 წამი და თეატრის დარბაზი გაივსო; მეც გული მომეცა, ვიფიქრე დებიუტანტს გული არ გაუტყდება-მეთქი. ფარდა ცოტა დაგვიანებით აიხადა; საზოგადოება სმენად გადაიქცა. დავალიანებული სოფლელი თავადიშვილი (იმედაშვილი) თავის კნეინით (აყხაზიშვილისა) ელის „ვოლნოოპრედელიუშჩაე“ ნამყოფ შვილს. დედა სიხარულით აღარ არის, ხოლო მამა უიმედოთ უცქერის შვილის მომავალს. ... ლაპარაკში გაჩნდება თვით გმირი (შათირიშვილი), რომელიც ღვთის შვილია ჩვეის ბერავი დრო

...ოველგვარ სასწავლებელში ...თ მის მშობლებს ბედი და, რომ დაჰკარგვიათ, სამხედ... ...მსახურში მიუციათ; ეხლა, ...აც დათხოვნილი, სახლს ...უნდა და აპირობს „პომეშ...იბას", ხოლო ეს უკანასკნელი ...ოვალეობა ასე აქვს წარმოდგენილი: დააგიროს მამული, შეირთოს მზითვიანი ქალი, ალებული ფული ლამაზ ქალებში და ქეიფში გაფლანგოს. ხელმძღვანელობას ამ საქმეში პირდება ჩვენ გმირს მისი ბიძაშვილი (სვიმონიძე), ამ გვარ საქმეში დიად გამოცდილი და დახელოვნებული. პირველი მოქმედება ამით თავდება. გადამეტებული იქნება, რომ ამ მოქმედების ასრულებას კარგი დავუძახოთ, რადგან გარდა შათირიშვილისა, რომელმაც მართლა სული ჩაუდგა თავის როლს. სხვები თუ არ სუსტობდნენ დიდ არაფერს სძენდნენ თავის როლებს აქ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ქ. აფხაზიშვილი, რომელიც ამ საღამოს პირველად გამოვიდა სცენაზე, შეგნებულად დაკვირვებით შეასრულა თავისი როლი და იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ ის, თუ ეცადა და იმუშავა, ქართულ თეატრს მომავალში სამსახურს გაუწევს.

პირველმა მოქმედებამ საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა; ნამდვილი ცხოვრებიდან ამოგლეჯილი და ხელოვნებით და დაკვირებით შევსებული სურათი ყოველთვის ასეთს შთაბეჭდილებას ახდენს.

დაიწყო მეორე მოქმედება. ჩარჩობითა და „ფოდრატებით" გამდიდრებული სომეხი არტემა (ვ. აბაშიძე) ემუსაიფება თავის ცოლის-ძმას (ადამიძეს) სხვა და სხვა სავაჭრო „საქმეებზე" და სხვათა შორის იმასაც შესჩივლებს რომ თავადი? თავის შვილისთვის ჩემს ქალსა მთხოვსო და მზითვად ჩემთან დაგირავებული მამული უნდა დაიბრუნოსო. არტემა, რასაკვირველია, წინააღმდეგია ამისი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ არტემას ცოლი სულ სხვა აზრისა არის თურმე და უთუოდ უნდა თავის ქალი კნეინათ გახადოს. ამ ლაპარაკს თვით არტემას ცოლიც (გაბუნია) შემოუსწრებს და ქმარს გადაჭრით ეუბნება, რომ ჩვენი ქალი თ. (?) შვილს უნდა მივცეთო. გაჯავრებული არტემა სცენას სტოვებს და არტემას ქალი მაშო (ა. აბაშიძე) შემოვა. ამ პიესის შინაარსის მოთხრობა უნდა შევწყვიტო, რადგან საზოგადოებამაც შესწყვიტა პიესის სვლა და ახალგაზრდა არტისტ ქალს ხანგრძლივი ტაშის ცემით შეხვდა. ჩვეულებრივად სიმპატიას უცხადებენ იმ არტისტებს, რომელთაც წარსული თავისი მოღვაწეობით დაუმსახურებიათ იგი; მაშ რით აიხსნება ის გარემოება, რომ პირველად გამოსულ ქ. ა. აბაშიძეს ასეთი სიყვარულით შეხვდა საზოგადოება მე მგონი იმითი, რომ საზოგადოებამ ა. აბაშიძის სახით სიმპატია გამოუცხადა მის მშობლებს, რ.მელთაც ოცის წლის მოღვაწეობის შემდეგ მათთვის ძვირფასს ქართულ სცენას თავისი ღვიძლზე ნაღები შვილი უძღვნეს და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რამდენად საყვარელია მათთვის ქართული თეატრი.

ეტყობოდა არც თვით ა. აბაშიძე ელოდა საზოგადოებისაგან ასეთ მიღებას და ამის გამო შეკრთა მადლობის გადახდა ვერ მოახერხა და პირველი სათქმელი გაუგებრად სთქვა, მაგრამ როცა დამშვიდდა და როგორც იტყვიან „შევიდა როლში" ნიჭიერი მშობლებიდან გადმოცემულმა ნიჭმა ფართოდ იჩინა თავი და რაკი საზოგადოებაც დარწმუნდა, რომ მისი წინასწარი გრძნობა გამართლდა, განუსაზღვრელ აღტაცებას მიეცა და რამდენჯერმე შეაჩერა მოქმედების მსვლელობა, მისთვის რომ ახალგაზ. და არტისტისათვის თავის უღრმესი აღტაცება გამოეცხადებინა ხანგრძლივი და რამდენჯერმე განმეორებული ტაშის კვრით. ახლად კურს გათავებული, მისი ოცნება ის არის, რომ უთუოდ „რომანიულად" გათხოვდეს და ამასთან კნეინაც გახდეს; დედაც ხელს უწყობს; ხოლო რადგან მამა წინააღმდეგია, მაშოს გადაწყვეტილი აქვს თავადს (?) მისთხოვდეს და თუ ეს არ მოხერხდა თავი მოიკლას, მაგრამ როგორ? თავი ჩამოიხრჩოს? არა: это не красиво! საწამლავის ჭამა სჯობია, მაგრამ это не романично! არა, ისევ რევოლვერი სჯობია, აქ რომანიც არის და ტრაგიზმიც! მაშო თავის თავს რომ მკვდრად წარმოიდგენს, თითონვე შეეშინდება და ისევ სიცოცხლეს არჩევს. ყოველივე ეს სცენაზე პირველად გამოსულმა ახალგაზდა ნიჭიერმა ქალმა ისეთის ხელოვნებითა და დაკვირვებით დახატა, რომ კაცს ეგონებოდა დებიუტანტის მაგივრად სცენაზე გამოცდილი და ნიჭიერი არტისტი არისო. მაშოს ოცნებას დაარღვევს თ., რომელიც ამ აზრით მოვა არტემასთან, რომ მაშო სასძლოთ სთხოვოს; არტემა წინააღმდეგობს, ხოლო დედა თავისას არ იშლის და არტემასაც დაიყოლიებს. ამით თავდება მეორე მოქმედება. მეორე მოქმედების აღწერა სრული არ იქნება თუ არ აღვნიშნეთ ჩვენი სცენის დამამშვენებელი არტისტების ქ. ნ. გაბუნიას და ვ. აბაშიძის თამაში. დიდი ხანია ვადევნებ თვალყურს ჩვენს სცენას და გამოტეხით უნდა ვთქვა, რომ ასეთი დაკვირვებით, ასეთი ცოდნით და ხელოვნებით იშვიათად შეუსრულებიათ ჩვენ საყვარელ არტისტებს თ ვისი როლები.

საზოგადოების აღტაცებას არც ანტრაქტებში მოეღო ბოლო. სხვათა შორის, ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურადღება. მრავალნი ულოცავდნენ დრამატიულ საზ. გამგეობის წევრთ, რომ მათ ისეთი ნიჭიერი არტისტი მოიპოვეს, როგორც ან. აბაშიძე. ეს გარემოება ჩემის აზრით იმის მამასწავებელია, რომ საზოგადოების გამგეობას დაუმსახურებია ნდობა და მას ისე უყურებენ, როგორც ნამდვილ ჭირისუფალს ჩვენი სცენისას.

ფარდა მესამედ აიხადა ლევან, და კოწია არტემას სახლში ქეიფობენ. იმათი ბაასიდან სჩანს, რომ არტემას ვალიდან განთავისუფლებული მამული ხელმეორედ დაუგირავებია და სამასი თუმანი მცირე ხანში გაუფლანგავს. ეხლა ფული არა აქვს და კოწია აქეზებს სიმამრს თუ ნებით არა ძალად გამოართვას; კოწია წავა და საქეიფოდ ადგილს დაუნიშნავს. შემოდის მაშო, რომელსაც ფულსა სთხოვს და რადგან მაშო უარს ეუბნევა, საცემრად იწევს; ამ ამბავს შემოესწრება არტემა და ესეც რომ უარს ეტყვის ფულის მიცემაზე, ხანჯლით დაემუქრება და წავა საქეიფოთ. არტემა სწუხს, გოდებს, ემუქრება ცოლს, რომელის მიზეზით მოხდა ეს ქორწინება, არტემას ცოლიც არა ნაკლებად ნაღვლობს და თავის ქალს ანუგეშებს. ამ დროს სოფლიდან მოვლენ თავადი და მისი ცოლი. არტემას ცოლი ლანძღავს და აყვედრის თავის მძახალს თავისი შვილის გაუბედურებას. შემოდიან და კოწია მთლად გალეშქილები, კოწია იქვე დივანზე დაიძინებს, ხოლო ლევანი ჩხუბს ასტეხავს. ამ დროს გაჩნდება პოლიციელი, რომელმაც კაცის მოკვლისათვის ლევანი და კოწია უნდა დაიჭიროს.

გამგებელი.

(შემდეგი იქნება)

## სასამართლოს მატიანე

საჩივრები ბ ნ გუნიაზე. ჩვენი რედაქტორის ვ. დ. გუნიასი შემდეგი საქმეები არის დანიშნული გასარჩევად სასამართლოში. 9 ნოემბერს გაირჩევა ოლქის სასამართლოში საქმე, რომლითაც ბ-ნი დ. კეზელი ბრალსა სდებს ბ ნ ვ. გუნიას ცილისწამებაზე როგორც მკითხველებმა იციან „ცნ. ფ." გამოვიდა პატარა ცნობა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ დ. კეზელი მოქმედობს გაზ. „ტფილ. ფურც." თავისი მოსყიდულის ენით, რაზედაც ბ-ნი გუნია, როგორც რედაქტორი გაზეთისა, პასუხის-გებაში იქმნა მიცემული.

20 ნოემბერს არის დანიშნული სამოსამართლო პალატაში საქმე, რომლითაც სოჩის ოლქის უფროსი გლადკოლიევი ბრალსა სდებს აგრეთვე ბ ნს ვ. გუნიას და გაზეთ „კავკაზის" რედაქტორს ვ. ლ. ველიჩკოს ცილისწამებაზე. ჩვენს რედაქტორს ორივე საქმეში დაიცავს ვექილი გ. ბ. გვაზავა.

## წვრილი ამბავი

რეკლამის აკრძალვა ამერიკაში. ამ ბოლოს დროს შეერთებულ შტატების მთავრობამ ყურადღება მიაქცია რეკლამას, რომლის შემწეობითაც გაჭრები და სხვა და სხვა გაიძვერა ვაჟბატონები საზოგადოებას ატყუებენ და იმას ჰპირდებიან, რაც არ მოეპოვებათ. როგორც გაზეთები იუწყებიან, ამერიკის მთავრობას ახალი კანონი გამოუცია, რომლის ძალითაც აღკრძალულია ტყუილი და გაზვიადებული რეკლამები. ამ კანონის დამრღვეველს შესაფერი სასჯელი გარდახდება.

—

სწრაფ-მავალი მატარებლები ამერიკაში. თუ რამდენად ჩქარა დადის მატარებლები ამერიკაში, შემდეგის მაგალითიდანა სჩანს. ამას წინად აქ ერთ მატარებელს გზაში შეჰგვიანებია, მემანქანეს დაკარგულ დროს აღსადგენად მატარებელი გაუჩქარებია და სადგურში დანიშნულ დროს მისულა. აღმოჩნდა, რომ მატარებელს ერთს საათში 111 ვერსი გაუვლია.

## სხვა-და-სხვა ამბავი

თამბაქოს აღკრძალვა აბაშეთში. ამას წინად აბაშეთის მეფეს ბრძანება გაუცია, რომლითაც ყველა აბაშელს თამბაქოს მოწევა აღეკრძალა. აბაშეთი პირველი სახელმწიფოა, სადაც თამბაქოს მოწევა აღკრძალული იქმნა. ამ შემთხვევაში გაუნათლებელმა აბაშეთმა განათლებულს ევროპას და ამერიკას აჯობა. როგორც გაზეთები იუწყებიან, ევროპიდან მეფე მენელიკს მრავალი მადლობის წერილი მისვლია იმ საზოგადოებათაგან, რომელთაც აზრად თამბაქოს მოწევის წინააღმდეგ ბრძოლა აქვთ.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**პარიზი.** გაზეთები იუწყებიან, რომ სტუდენტების კომიტეტი ადგენს თავისუ[illegible] ჯარის კაცთა რაზმს ტრა[illegible]თვის.

**ლედი სმითი.** ღამით უაიტი ინ-

გლისის ყველა ჯარებით თავს დაესხა მტერს და უკუ-აქცია იგი რამდენიმე მილის მანძილზედ; მაგრამ ვერ მიაღწია მტრის ბანაკამდე და უკან დაბრუნდა.

**ლონდონი**. „Times“ ს ლედი-სმიტიდგან დეპეშით აუწყებენ, რომ მთელი ჯარის სურსათი დურბანიდგან პიტერმარიცბურგამდე ბურებმა მოიტაცეს.

**ლონდონი.** გენერალის უაიტის ოფიციალურ დეპეშაში ნათქვამია: „დღეს ომი გვქონდა ბურებთან, მგონი, ჟუბერის ჯართან ხანგრძლივის ომის შემდეგ ბურები უკუ-იქცნენ; მტრის ზარალი მეტია. მტერმა მეტი ჯარი გამოიყვანა წინანდელზედ; მისი არტილერია ადრინდელზედ უკეთესია“.

**ბერლინი.** გუშინდელ გაზეთებში ლედი-სმიტიდგან დეპეშით იუწყებიან: „გლენკედგან უკან დახევის დროს გენერალმა იულმა დასტოვა მთელი ეტლი სურსათით, თოფ ზარბაზნებით. ჯარის-კაცები აქეთ-იქით ისროდნენ თავიანთ მოწყობილობას. უკან ჩამორჩენილები ასობით დაატყვევეს ბურებმა.

**ლონდონი.** გენერალი უაიტი სამხედრო სამინისტროს დეპეშით აუწყებს ლედი სმიტიდგან, რომ მის-მიერ სერზედ ადგილის დასაჭერად გაგზავნილი ჯარი შესამჩნევად დაზარალების შემდეგ იძულებული შეიქმნა იარაღი დაეყარა. ტყვედ წაყვანილი ჯარი შესდგებოდა 42 აფიცერისა და 2000-მდე ჯარის-კაცისაგან. უაიტი დასძენს: „მხოლოდ მე ვარ პასუხის მგებელი, ადგილ-მდებარეობა ისეთი იყო, რომ იქ გაჩერება არ შეიძლებოდა“.

**კაპშტადტი.** ბერკი-უესტიდგან დეპეშა იუწყება, რომ ბურები გარს არტყიან კიმბერლეის ყუმბარების დასაშენად.

**ფრეიბურგი.** მრავალი აფრიკანდერი ბეჩუანში ამ ჟამად აშკარად უერთდება ბურებს.

**ლონდონი.** 19 ოქტომბერი. „Central News“-ი იუწყება, რომ 42 აფიცერმა და 2,000 ჯარის კაცმა იარაღი დაჰყარეს აუარებელ ჯართან ცხარე ომის შემდეგაო.

**ლონდონი.** 19 ოქტომბერი. ლედი-სმიტთან ინგლისის ჯარის დამარცხებამ ლონდონსა და მთელ ინგლისში არა ჩვეულებრივი მღელვარება გამოიწვია. სამხედრო სამინისტრომ დეპეშით აუწყა ბულერს, რომელიც კაპშტადტში მოვიდა, რომ ათის დღის შემდეგ გამოგზავნილი იქმნება სამხრეთ აფრიკაში ჯარის შესავსებად კიდევ სამი ბატალიონი და ერთი სამთო ბატარეია.

**პეტერბურ**[illegible] ...ინსტიტუტელნი ტაინი სოვეტნიკი გორემიკინი დათხოვნილ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდგან და დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. თხოვნების მისაღებ კანცელარიის მთავარ-მმართველი სიპიაგინი დანიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველად.

**ლონდონი**. საღამოს გაზეთები მწუხარებას აცხადებენ სამხრეთ აფრიკაში მომხდარ საშინელ უბედურების გამო. ამასთან ისინი იმედოვნებენ, რომ 2,000 კაცის დაკარგვა გავლენას ვერ იქონიებს ომის შედეგზედ. ინგლისელები ალვსილნი არიან იმ გარდაწყვეტილებით, რომ მათ, რადაც უნდა დაუჯდეთ, აღადგინონ თავიანთი უზენაესი უფლება.

**ლონდონი**. საღამოს გაზეთებში შემდეგი ამბავია-დაბეჭდილი ლედი-სმიტიდგან: ორშაბათს საღამოს ბურებმა ხელმეორედ დაიჭირეს წინანდელი ადგილები და ხელახლავ სროლა ასტეხეს ქალაქზედ. მტერმა ისევ ალყა შემოარტყა ქალაქს. გუშინდელი მისი უკუქცევა მხოლოდ უბრალო ხრიკი იყო და ამით უაიტის შეტყუება უნდოდა ბანაკიდგან სერზედ. საქმის ვითარება საშიშია.

**ლონდონი.** დილის გაზეთები თუმცა არა ჰფარავენ იმ უბედურების სიდიდეს, რომელიც ინგლისს ეწია, მაგრამ არა ჰკიცხავენ უაიტს, თანაგრძნობას უცხადებენ მას და ერს წინადადებას აძლევენ, დაამტკიცეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ უბედურება მამაცად და ღირსეულად აიტანოთო.

---


# „ბუნების კარი“

(ახალი შევსებული გამოცემა)

დაიბეჭდა მეათედ (50,000) და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. ეს გამოცემა შევსებულია ტ თექვსმეტი გვერდით უფრო დიდი წინანდელს გამოცემაზედ. ფასი კი დაკლებულია. წინად ღირდა 90 კაპ. ახლა ღირს ყდიანად 80 კაპ. ანუ ოთხი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ ათზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 70 კაპ., ხოლო ვინც ოცზედ ნაკლებს არ წაიღებს, იმას წიგნი მიეცემა 64 კაპ.

(6—5)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеніи**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣсяца.

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.** (100—89)

მიაქციეთ ყურადღება ამ მართლაც და საყურადღებო განცხადებას!

ყველასათვის საინტერესოა, ხოლო განსაკუთრებით

**პროვინციელ ქალებისა და ვაჟებისათვის**

| | | |
|---|---|---|
| **100** | სადარბაზო ბარათი (Визитныя карточки) | სახელით და გვარით |
| **100** | ფოსტის ქაღალდი (Почтовыя бумаги) | |
| **100** | მათივე კონვერტი (Почтов. конверты) | |

ყოველივე ზემოდ მოხსენებულ გაეგზავნება იმას

ვინც გამოგზავნის მხოლოდ

სამი მან.

ვინც მოისურვებს, რომ ფოსტის ქაღალდზე ან სადარბაზო ბარათზე მათი სურათიც იყოს აღბეჭდილი, იგი ზემოხსენებული 3 მან. გარდა, კიდევ 3 მან უმატებს.





მბეჭდავი: ტფილისში ვ. გუნიას სტამბას.
Тифлисъ, Дворцовая ул. Типографія В. Гуніа.